

2018 წლის საქმიანობის ანგარიში

კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრი

ცენტრის დირექტორი:

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, დავით მაისურაძე

თბილისი

2018

ზოგადი აღწერილობა.....	3
პროექტების ანგარიშები.....	4
ეფექტური კორპორაციული მართვის სისტემა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოებისათვის – არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები	4
ინვესტიციის დაცვის მექანიზმები საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული საკორპორაციო სამართლის მიხედვით	6
ელექტროენერჯით ვაჭრობის მექანიზმის რეგულირების ზეგავლენის შეფასება (Regulatory Impact Assessment RIA on Electricity Trading Mechanism ETM)	8
სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ კანონის რეტროსპექტული.....	9
შეფასება	9
სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ კანონის რეტროსპექტული.....	10
შეფასება	10
მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება.....	11
ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები	12
ცენტრის სამომავლო მიზნები და ამოცანები, 2019 წელი.....	13

ზოგადი აღწერილობა

კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრის მიზანია, განახორციელოს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა; საკორპორაციო, კომერციული, კორპორაციული მართვის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მომწესრიგებელი სამართლის ნორმების კვლევა და მათი დახვეწის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

ამავდროულად, ცენტრის საქმიანობა დაკავშირებულია რეგულირების ზეგავლენის სფეროში საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებასთან.

2018 წლის განმავლობაში კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრი ახორციელებდა 2 სამეცნიერო და 3 საკონსულტაციო პროექტს. ამავდროულად, 2018 წლის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ 2019-2020 წლებში კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრის კოორდინირებით სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“ განახორციელებს სასწავლო პროექტს „რეგულირების ზეგავლენის შეფასება როგორც სასწავლო კურსი“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მაგისტრანტებისათვის შეთავაზებული იქნება საგანი - რეგულირების ზეგავლენის შეფასება.

ამავდროულად, წლის განმავლობაში ცენტრის კოორდინირებით ჩატარდა 10 საჯარო შეხვედრა და 2 სამეცნიერო დისკუსია პროექტების შედეგების გავრცელების მიზნით. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა, სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

2018 წელს ცენტრის კოორდინირებით შემუშავდა ანგარიში „ელექტროენერჯით ვაჭრობის მექანიზმის რეგულირების ზეგავლენის შეფასება“, გამოქვეყნდა მონოგრაფია „სახელმწიფო საწარმოები საქართველოში (არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები)“ და დაიწერა 2 სამეცნიერო სტატია, რომელიც გაგზავნილია საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში გამოსაქვეყნებლად. ამავდროულად, ცენტრის კოორდინირებით სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“ არის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ორი ანგარიშის თანაავტორი. კერძოდ, აღნიშნული ანგარიშები ეხება „მომხმარებლების უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს და „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონს.

ამჟამად ცენტრის საქმიანობაში პირდაპირ ჩართულია ცენტრის დირექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი დავით მაისურაძე. ცენტრის კოორდინირებით განხორციელებულ პროექტებში ჩართულები არიან როგორც ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები, ასევე, მოწვეული ლექტორები, ექსპერტები და სტუდენტები, სულ – 24 ადამიანი. გენდერული ბალანსის თვალსაზრისით პროექტების 8 მონაწილე ქალია, 16 – კაცი.

პროექტის დონორები არიან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, დელოიტი/USAID (G4G-ის ფარგლებში), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო.

პროექტების ანგარიშები

ეფექტური კორპორაციული მართვის სისტემა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოებისათვის – არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები

2016 წლის ბოლოს დაწყებული პროექტის (ეფექტური კორპორაციული მართვის სისტემა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოებისათვის - არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები) ძირითადი ნაწილი დასრულდა 2018 წლის ბოლოს. დონორის (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) წინაშე აღებული მოთხოვნების შესასრულებლად დარჩა სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში. სტატია მომზადებულია და გაგზავნილია გამოსაქვეყნებლად. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში ჩატარდა 2 სამეცნიერო კონფერენცია და 4 საჯარო შეხვედრა და გამოქვეყნდა 1 მონოგრაფია. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მონოგრაფიის წინასიტყვაობა ეკუთვნის პროფესორ შტეფან მესმანს, რომელიც ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში კითხულობს საერთაშორისო ბიზნეს სამართალს და ეკავა მენეჯერის პოზიციები აზიისა და ევროპის საავტომობილო ინდუსტრიებში.

ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, რაც დასახული ჰქონდა პროექტის გუნდს იყო სახელმწიფო საწარმოების მარეგულირებელი საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობის განხილვა, რაც წარმატებით განხორციელდა და ასახულია საბოლოო მონოგრაფიაში. პროექტის გუნდმა განიხილა ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები, ამავდროულად შეეხო მსოფლიო სავალუტო ფონდის შენიშვნებს ქართულ სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის გუნდმა განიხილა ევროპის ქვეყნების გამოცდილება სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით, კერძოდ, შეეხო ლიეტუვას, ლატვიის, საბერძნეთის, სლოვენის, შვედეთის და ფინეთის გამოცდილებას.

პროექტის გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო საკუთრივ ქართულ სახელმწიფო საწარმოებთან შეხვედრა და მათი გამოცდილებისა და სადამფუძნებლო დოკუმენტაციის განხილვა. ამ მიზნებისთვის, პროექტის გუნდმა შეიმუშავა კითხვარი და დაუგზავნა საწარმოებს, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის მეშვეობით შეისწავლა სახელმწიფო საწარმოების წესდებები.

ინტერვიუსთვის საწარმოების შერჩევის მიზნით და ზოგადად გამოცდილების გასაზიარებლად, პროექტის გუნდი შეხვდა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ შორის: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და სს "საპარტნიორო ფონდს".

2017 წლის მაისში ჩატარდა პირველი სამეცნიერო კონფერენცია სახელმწიფო საწარმოების თემაზე. გამომსვლელები იყვნენ როგორც სახელმწიფო, ასევე, არასამთავრობო და სამეცნიერო

წრებიდან. გამომსვლელებმა ისაუბრეს სფეროში არსებულ გამოწვევებზე და სხვადასხვა საკითხებზე შეთანხმდნენ, რომელიც ოქმის სახით დაეგზავნა შეხვედრის მონაწილეებს. მათ შორის შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ კარგი იქნებოდა კორპორაციული მართვის სარეკომენდაციო კოდექსის შექმნა და შესაძლებელი იქნებოდა ამ კოდექსის მოქმედება გავრცელებულიყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებულ სახელმწიფო საწარმოებზეც.

მეორე სამეცნიერო კონფერენცია პროექტის გუნდმა ჩაატარა 2018 წლის ნოემბერში, როდესაც დაინტერესებული პირების წინაშე წარადგინა კვლევის შედეგები. კონფერენციას დაესწრნენ როგორც სახელმწიფო საწარმოების, ასევე, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.

ამავდროულად, პროექტის გუნდმა მონაწილეობა მიიღო მესამე, ამჯერად, საერთაშორისო კონფერენციაში. კვლევის შედეგების გავრცობის მიზნით, პროექტის ხელმძღვანელი დავით მაისურაძე 2018 წლის ივნისში იმყოფებოდა პრატაში „38-ე საერთაშორისო აკადემიურ კონფერენციაზე“, სადაც წარადგინა მოხსენება „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა როგორც სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის მოდელი“. აბსტრაქტი აღნიშნული მოხსენებიდან შესულია კონფერენციის აბსტრაქტების ელექტრონულ წიგნში.

პროექტის გუნდმა საკანონმდებლო ბაზის, საერთაშორისო გამოცდილების, ინტერვიუების და წესდებების საფუძველზე სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის მქონე და სახელმწიფო საწარმოების გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები ჩამოაყალიბა. ამავდროულად, პროექტის გუნდმა განსაზღვრა სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირებისა და დაკომპლექტების წესი და უმცირესობის მქონე აქციონერების (ინვესტორების) დაცულობის საკითხი.

პროექტის გუნდმა განსაზღვრა საწარმოების დაფუძნების უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ამავდროულად, პროექტის გუნდმა შეიმუშავა სახელმწიფოს მიერ საწარმოების კოორდინირების სავარაუდო მოდელი.

ინვესტიციის დაცვის მექანიზმები საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული საკორპორაციო სამართლის მიხედვით

2016 წლის ბოლოს დაწყებული პროექტის (ინვესტიციის დაცვის მექანიზმების საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული საკორპორაციო სამართლის მიხედვით) ძირითადი ნაწილი დასრულდა 2018 წლის ბოლოს. დონორის (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) წინაშე აღებული მოთხოვნების შესასრულებლად დარჩა სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში. სტატია მომზადებულია და გაგზავნილია გამოსაქვეყნებლად. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში ჩატარდა 4 საჯარო შეხვედრა და მომზადებულია 1 მონოგრაფია გამოსაქვეყნებლად.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის გუნდმა შეისწავლა და გაანალიზა საქართველოს კომერციული სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სფერო - ინვესტიციების დაცვის ნაწილი, სადაც განიხილა მინიმალური საწესდებო კაპიტალის ცნება, უპირატესი შესყიდვის უფლება, კორპორაციულის საფარველის გაჭოლვა, გადახდისუუნარობის საკითხები, ხელმძღვანელობის მოვალეობები და უმცირესობაში მყოფი ინვესტორის უფლებების დაცვა. პროექტის გუნდმა ინვესტორი წარმოადგინა როგორც კრედიტორის, ასევე, აქციონერის რანგში. ამავდროულად, კვლევის განმავლობაში პროექტის გუნდმა ჩამოთვლილი საკითხები განიხილა *დუინგ ბიზნესის* მეთოდოლოგიის მიხედვითაც, ქართული კანონმდებლობა შეუფარდა *დუინგ ბიზნესის* კრიტერიუმებს და წამოაყენა საქართველოს ნაწილში *დუინგ ბიზნესის* ქულების განსხვავებული ჯამური ოდენობით დაწერის მოსაზრება. დამატებით პროექტის გუნდმა განიხილა სასამართლო გადაწყვეტილებები და საწარმოთა წესდებები და გაანალიზა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროდან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და სასამართლოებიდან გამოთხოვილი სტატისტიკა.

პროექტის ფარგლებში, პროექტის გუნდმა მოიძია და განიხილა 100 სასამართლო გადაწყვეტილება საკორპორაციო და გადახდისუუნარობის საქმეებზე და შეუფარდა აღნიშნული საქმეები "მეწარმეთა შესახებ" და "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონებს. იმისათვის, რომ გაგვეანალიზებინა საკორპორაციო სამართლის და გაკოტრების სამართლის ევოლუცია საქართველოში, პროექტის გუნდმა დეტალურად შეისწავლა "მეწარმეთა შესახებ" კანონის 2008 წლის რეფორმამდელი და 2008 წლის რეფორმის შემდგომი პერიოდი.

ამავდროულად, პროექტის გუნდმა შეისწავლა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რედაქციაც. პროექტის გუნდმა შეისწავლა გაკოტრების სამართალში არსებული ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტები და მოქმედი კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ. პროექტის გუნდის მიზანი იყო გამოეკვლია აშშ-ს და ევროპული სამართლის ზეგავლენა ქართულ საკანონმდებლო აქტებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტის გეგმით პირდაპირ გათვალისწინებული არ იყო, პროექტის გუნდმა შეისწავლა ინვესტიციის დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებული ასოცირების ხელშეკრულების მუხლები და ევროკავშირის დირექტივები, რომელთა შესაბამისადაც უნდა მოხდეს საკორპორაციო სამართლის მუხლების ტრანსფორმაცია საქართველოში. დამატებით, პროექტის გუნდმა შეისწავლა *დუინგ ბიზნესის*

მეთოდოლოგია და ქართული საკორპორაციო სამართლის და გაკოტრების სამართლის რეგულაციები შეუფარდა დუინგ ბიზნესის კრიტერიუმებს.

პროექტის გუნდმა მოიძია და შეისწავლა 100 საწარმოს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, ასევე, სააქციო საზოგადოების წესდებები და შეუფარდა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის სხვადასხვა მუხლებს. პროექტის გუნდმა წესდებების განხილვის დროს, ფოკუსირება მოახდინა უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლებების დაცვაზე, მმართველობის ორგანოებზე, საწესდებო კაპიტალზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის გუნდმა მოამზადა ასევე მონოგრაფიის სამუშაო ვერსია, სადაც სრულად ასახა კვლევის მიგნებები. GIZ-სგან უკვე გვაქვს ზეპირი თანხმობა მონოგრაფიის დაბეჭდვასთან დაკავშირებით.

კვლევის მიგნებების გავრცელების მიზნით, პროექტის გუნდმა ჩაატარა დისკუსია, სადაც დამსწრეებს წარუდგინა კვლევის შედეგები და ჩაატარა საჯარო შეხვედრები სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ თბილისსა და რეგიონებში არსებულ 5 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ელექტროენერჯით ვაჭრობის მექანიზმის რეგულირების ზეგავლენის შეფასება (Regulatory Impact Assessment RIA on Electricity Trading Mechanism ETM)

აღნიშნული პროექტი იყო რეგულირების ზეგავლენის შეფასების სფეროში განხორციელებული სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პირველი საკონსულტაციო პროექტი. პროექტის დონორი იყო დელოიტი/USAID (G4G-ის ფარგლებში). პროექტის გუნდი დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციალისტებით.

პროექტის გუნდმა გამართა ინდივიდუალური კონსულტაციები ენერჯეტიკის სფეროს მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებთან – როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებთან (სახელმწიფო ელექტროსისტემა, ესკო, ენერჯეტიკის სამინისტრო), ასევე კერძო ორგანიზაციებთან (ჰესები, საფონდო ბირჟა).

პროექტის ფარგლებში, პროექტის გუნდმა ჩამოაყალიბა ელექტროენერჯით ვაჭრობის მექანიზმის რამდენიმე ალტერნატივა და შერჩეულ ალტერნატივებთან მიმართებაში განახორციელა სარგებლიანობისა და დანახარჯის ანალიზი (Cost-Benefit Analysis). ამავდროულად, ანგარიშში წარმოდგენილია ელექტროენერჯით ვაჭრობის მექანიზმის ის ფორმები, რომელთა დანერგვა მომავალში იქნება შესაძლებელი, მაგალითად, ბლოკჩეინ ტექნოლოგიის მეშვეობით.

პროექტის დასასრულს ჩატარდა ორი სამუშაო შეხვედრა დაინტერესებული კერძო, საერთაშორისო და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ კანონის რეტროსპექტული შეფასება

აღნიშნული პროექტი იყო საკონსულტაციო ხასიათის და განხორციელდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების სფეროში სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“, ჰარმონიზაციის ცენტრისა და პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ. პროექტის დონორი იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

პროექტის ფარგლებში განხორციელდა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავით განსაზღვრული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის იმპლემენტაციის რეტროსპექტიული ანალიზი. სისტემის კომპონენტების იმპლემენტაციის პროცესის შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, ჩატარდა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან; გაანალიზდა კანონის თავსებადობა სხვა რეგულაციებთან და დღის წესრიგი 2030-ის მიზნებთან. პროექტის შედეგად გამოქვეყნდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის იმპლემენტაციის პროცესის ხელშემშლელი ფაქტორები.

პროექტის გუნდმა არსებული მდგომარეობის გაანალიზების საფუძველზე ჩამოაყალიბა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს კანონის იმპლემენტაციის პროცესის ხელშეწყობას.

ამჟამად, შემუშავებულია პროექტის ანგარიშის საბოლოო ვერსია. პროექტის დასრულების შემდეგ, პროექტის გუნდი ორგანიზებას გაუწევს საჯარო შეხვედრას ანგარიშის წარდგენის მიზნით.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ კანონის რეტროსპექტული შეფასება

აღნიშნული პროექტი იყო საკონსულტაციო ხასიათის და განხორციელდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების სფეროში სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“, ჰარმონიზაციის ცენტრისა და პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ. პროექტის დონორი იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

პროექტის ფარგლებში განხორციელდა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავით განსაზღვრული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის იმპლემენტაციის რეტროსპექტიული ანალიზი. სისტემის კომპონენტების იმპლემენტაციის პროცესის შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, ჩატარდა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან; გაანალიზდა კანონის თავსებადობა სხვა რეგულაციებთან და დღის წესრიგი 2030-ის მიზნებთან. პროექტის შედეგად გამოქვეყნდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის იმპლემენტაციის პროცესის ხელშემშლელი ფაქტორები.

პროექტის გუნდმა არსებული მდგომარეობის გაანალიზების საფუძველზე ჩამოაყალიბა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს კანონის იმპლემენტაციის პროცესის ხელშეწყობას.

ამჟამად, შემუშავებულია პროექტის ანგარიშის საბოლოო ვერსია. პროექტის დასრულების შემდეგ, პროექტის გუნდი ორგანიზებას გაუწევს საჯარო შეხვედრას ანგარიშის წარდგენის მიზნით.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

აღნიშნული პროექტი იყო საკონსულტაციო ხასიათის და განხორციელდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების სფეროში სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“, საქართველოს უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უნივერსიტეტების ჩართულობით. პროექტის ორგანიზატორი იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

პროექტის მონაწილე მხარეებმა უცხოელი კონსულტანტების მონაწილეობით განახორციელეს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა განახორციელა დასახელებული კანონპროექტის უსამართლო კომერციული პრაქტიკის შესახებ თემატიკის განხილვა, ევროკავშირის დირექტივებთან შედარება, საქართველოს სოციალური და ეკონომიკური კონტექსტის ანალიზი და მომხმარებლის ნიშნულის განსაზღვრისათვის წამოაყენა კანონპროექტისგან განსხვავებული ნიშნული.

ამჟამად, შემუშავებულია პროექტის ანგარიშის საბოლოო ვერსია. პროექტის დასრულების შემდეგ, პროექტის გუნდი ორგანიზებას გაუწევს საჯარო შეხვედრას ანგარიშის წარდგენის მიზნით.

ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები

ცენტრის ორგანიზებით 2018 წელს ჩატარდა 8 საჯარო შეხვედრა და 2 სამეცნიერო დისკუსია.

სახელმწიფო საწარმოების შესახებ კვლევის შედეგების გავრცობის მიზნით, ცენტრის დირექტორი დავით მაისურაძე 2018 წლის ივნისში იმყოფებოდა პრატაში „38-ე საერთაშორისო აკადემიურ კონფერენციაზე“, სადაც წარადგინა მოხსენება „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა როგორც სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის მოდელი“. აბსტრაქტი აღნიშნული მოხსენებიდან შესულია კონფერენციის აბსტრაქტების ელექტრონულ წიგნში.

ცენტრის სამომავლო მიზნები და ამოცანები, 2019 წელი

ცნობადობის ზრდის თვალსაზრისით

- ცენტრის საბჭოს დაკომპლექტება როგორც ფაკულტეტის პროფესორებით, ასევე მოწვეული სპეციალისტებით ევროპის და აშშ-ის უნივერსიტეტებიდან, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ცენტრის ცნობადობის ზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, მის მიერ მომზადებული კვლევების ვალიდურობის მაღალ ხარისხს;
- გამოცხადებულ კონკურსებში საგრანტო განაცხადების წარდგენა;
- თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების გაფორმება მსგავსი პროფილის მქონე ცენტრებთან.

ინსტიტუციონალური ზრდის თვალსაზრისით

- კონცეტირება საკონსულტაციო პროექტებზე;
- კონცეტირება კვლევითი პოტენციალის ზრდის პროექტებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებას;
- კონცენტრაცია პროექტებზე, რომელიც უკავშირდება ფასიანი ქაღალდების ბაზარს;
- საგანმანათლებლო აქტივობების (სემინარები, კონფერენციები, ღია ლექციები) ორგანიზება.